ინფორმაცია

ბაზრის კვლევის შესახებ

საზოგადოებრივი მაუწყებელი აჭარის ტელევიზია და რადიო, რადიომაუწყებლობის სამსახური შემეცნებით-გასართობი გადაცემების კონკურსის გარეშე შესყიდვის მიზნით იწყებს ბაზრის კვლევას შემდეგი ინფორმაციის მისაღებად.

გადაცემების თემატიკა წინასაკონკურსო მოკვლევისთვის

1. „უცნობი ბათუმი“ - ურბანული ლეგენდები, ისტორიები და უცნობი ფაქტები ბათუმზე და რეგიონზე. საინტერესო ცნობები ცნობილი ადამიანების ვიზიტებზე, მათ მოგონებებზე რომელიც უკავშირდება ბათუმს და აჭარას. შენობების, ქუჩების, დაწესებულებების ისტორიები. სხვა რაკურსით დანახული ცნობილი და ნაკლებად ცნობილი მოვლენები. ქრონომენტაჟი - 5-დან 15 -წუთამდე. ტექსტუალურ მასალა გაფორმებული უნდა იყოს ფონური ხმებით, მუსიკით, საჭიროების შემთხვევაში ინტერვიუებით. გადაცემის რაოდენობა - თვეში 8 –
   სულ 40 ერთეული (გადაცემა)

2. ქართული ესტრადა - თანამედროვე ქართული ესტრადა, ქართველი შემსრულებლები. მათ მიერ შექმნილი კომპოზიციები. კულტურის ამ სფეროში მიმდინარე მოვლენები, სიახლეები, პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. გადაცემის ქრონომეტრაჟი არაუმცირეს 25 წუთისა და არაუმეტეს 45 წუთის. პერიოდულობა - თვეში 4 გადაცემა.
   სულ 20 ერთეული

3. კლასიკური მუსიკა. - კლასიკური მუსიკის თვალსაჩინო წარმომადგენლები, ისტორიული წარსული, თანამედროვე შემსრულებლები, საინტერესო ფაქტები, ინტერვიუები. გადაცემა მიზნად ისახავს კლასიკური მუსიკის პოლულარიზაციას. გადაცემის ქრონომეტრაჟი არაუმცირეს 25 წუთისა და არაუმეტეს 45 წუთის. პერიოდულობა - თვეში 4 გადაცემა.

   სულ 20 ერთეული (გადაცემა)

4. ფოლკლორი. - გადაცემა მიზნად ისახავს ქართული ფოლკლორის პოპულარიზაციას. ცნობილი და ნაკლებად ცნობილი სიმღერები, ისტორიები, საქართველოს კუთხეებისთვის დამახასიათებელი შესრულების მანერა, საკრავები, ლოტბარები, შემსრულებლები. გადაცემა არ უნდა აღემატებოდეს 30 წუთს და არ უნდა იყოს 10 წუთზე.
   სულ 20 ერთეული (გადაცემა)

5. მოგზაურის დღიურები - გადაცემა მოგზაურობაზე და მოგზაურებზე. საინტერესო და უცხო ლოკაციები, ისტორიები, მარშუტები, ლეგენდები, ფაქტები, რჩევები და ემოციები. გადაცემაში მოთხრობილი უნდა იყოს როგორც საქართველოს, ასევე უცხო ქვეყნის მარშუტები. ქრონომეტრაჟი არ უნდა აღემატებოდეს 15 წუთს და არ უნდა იყოს 10 წუთზე ნაკლები.
   სულ 20 ერთეული (გადაცემა)

შერჩევის კრიტერიუმი:

ჟანრი: შემეცნებით გასართობი

პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს თითოეულ ასარჩევ თემატიკაზე (გადაცემაზე) მინიმუმ ერთი სცენარი (ან საპოლოტე ვერსია). ინვოისი და გადაცემების განფასება.

საკონტაქტო პირი:

ინფორმაცია წარმოადგინეთ ელექტრონულად konkursi@ajaratv.ge - ელ ფოსტაზე

ან მატერიალურად შემდეგ მისამართზე: ქ.ბათუმი , მემედ აბაშიძის გამზირი #41

დოკუმენტები (ინვოისი და სია) მიიღება: 01/07/2021 – 16/07/2021